

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ**

თბილისი,  
2011

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I.	ზოგადი დებულებები -----	3
თავი II.	სტუდენტის სტატუსის მოპოვება -----	3
თავი III.	სტუდენტის სტატუსის შეჩერება -----	9
თავი IV.	სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა -----	11
თავი V.	სტუდენტის სტატუსის აღდგენა -----	12
თავი VI.	აკადემიური პროგრამის, შეჩერების, გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფა -	14
თავი VII.	სტუდენტთა მობილობა -----	15
თავი VIII.	სტუდენტის განათლების აღიარება და შეფასება -----	21
თავი IX.	სტუდენტის უფლებები და მოვალეობები -----	34
თავი X.	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული რეგულაცია -----	34

## **თავი I. ზოგადი დებულებები**

### **მუხლი 1. რეზუმირების სფერო**

1. წინანდებარე დებულება განსაზღვრავს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) სამივე საგანმანათლებლო საფეხურის ფარგლებში, სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების წესებს/პროცედურებს.

### **მუხლი 2. სამართლებრივი საფუძვლები**

- ა) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ და მოქმედი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები.
- ბ) ბოლონის პროცესის დოკუმენტები;
- გ) უნივერსიტეტის წესდება „საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულირების შესახებ.“

## **თავი II. სტუდენტის სტატუსის მოპოვება**

### **მუხლი 3. მოწესრიგების სფერო**

1. ეს თავი არეგულირებს სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საკითხებს.

### **მუხლი 4. საბაკალავრო/დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის პირველ საფეხურზე, საქართველოს მოქალაქისათვის, სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, რომელიც რანჟირების შედეგად ჩაითვლება გამსვლელად უნივერსიტეტის მიერ დადგენილ კოეფიციენტებთან და პრიორიტეტებთან მიმართებით.
2. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის აღიარება ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას კონკრეტულ აბიტურიენტთა მიერ, შესაბამისი სასწავლო წლის ფარგლებში, სწავლის უფლების მოპოვების შესახებ, რის საფუძველზეც სტუდენტთან ფორმდება ხელშეკრულება და არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა გამოიცემა რექტორის ერთიანი სამართლებრივი აქტი უნივერსიტეტში აბიტურიენტთა/სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ, რომელიც იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. (რექტორის ბრძანება 01-05/068 03.01.2014)
3. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტში იწყება სტუდენტთა რეგისტრაცია, რომელიც მიმდინარეობს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში. რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სტუდენტთა რეგისტრაცია

ციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები. (რექტორის ბრძანება 01-05/068 03.01.2014)

4. სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება, უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით, ყოველწლიურად, დამტკიცებული სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის მიხედვით, ორ ეტაპად: ადმინისტრაციული – ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საზღაურის ბანკში გადახდით და აკადემიური შესაბამის პროგრამასა და დისციპლინებზე რეგისტრაციით. (რექტორის ბრძანება 01-05/005; 29.02.2012)
5. ის აბიტურიენტი, რომელიც დადგენილ ვადაში დაწესებულებისათვის არმიმართვის გამო, ვერ მოხვდა რექტორის ერთიან სამართლებრივ აქტში, უნივერსიტეტში აბიტურიენტთა/ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ, უფლებამოსილია მომართოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს სამართლებრივ აქტს, ამ პირის უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ, რომელიც იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამოცემიდან 15 დღის ვადაში. (რექტორის ბრძანება 01-05/068 03.01.2014)
6. სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად პირველადი რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტებია:
  - ა) პირადობის მოწმობა (ასლი)
  - ბ) სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის)
  - გ) საშუალო სკოლის ატესტატი
  - დ) ეროვნული საგანმცდო ცენტრის სერთიფიკატი
  - ე) ორი ფერადი ფოტოსურათი – (3X4, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად)
  - ვ) არასრულწოვანების შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის) პირადობის მოწმობის ასლი (რეგისტრაცია ხორციელდება კანონიერ წარმომადგენელთან ერთად)

#### მუხლი 5. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

1. მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველი კანდიდატების უნივერსიტეტის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდებზე დადგენილი შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვა.
  - 1.1 უნივერსიტეტი ვალდებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსოს და გამოცდების ეროვნულ ცენტრში შესაბამისი წლის ათ თებერვლამდე წარადგინოს საერთო სამაგისტრო გამოცდებთან დაკავშირებული სპეციალური ანკეტა-კითხვარი და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია.
  - 1.2 უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების მიზ-

ნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე, რექტორის სამართლებრივი აქტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები (რექტორის ბრძანება 01-05/005 29.02.2012)

2. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტებია:

- ა) პირადობის მოწმობის ასლი;
- ბ) ბაკალავრის დიპლომის ასლი ნიშნების დანართთან ერთად (უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს თან უნდა ახლდეს ცნობა ავთენტიკურობის შესახებ);
- გ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4) CD დისკთან ერთად;
- დ) სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა ვაჟებისათვის;
- ე) CV (უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმით).
- ვ) დიპლომის არ ქონის შემთხვევაში, ცნობა კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ (კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანოს სახელწოდება; მიღებული გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი), ასევე აუცილებელია დიპლომის გაცემის კონკრეტული თარიღის მითითება. (რექტორის ბრძანება 01-05/068 03.01.2014)

3. საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მინიმალური ზღვარის გადალახვის შემდეგ, უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ კანდიდატთა რეგისტრაცია ტარდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში. სამაგისტრო გამოცდების ორგანიზაცია და პროცედურა რეგულირდება სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წესით.

4. სასპეციალიზაციო და საერთო სამაგისტრო გამოცდების რანჟირებული შედეგების გათვალისწინებით მაგისტრატურის სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხდება რექტორის სამართლებრივი აქტით, უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

4.1 იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები, უნივერსიტეტის მიერ დგება/გამოიცემა რექტორის ერთიანი აქტი, რომელიც 5 ოქტომბრამდე იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში. რექტორის ერთიანი აქტში მითითებულია მაგისტრანტის:

- სახელი, გვარი;
- პირადი ნომერი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი;
- საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. (რექტორის ბრძანება 01-05/068 03.01.2014)

მუხლი 6. ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.
2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე დასაშვებია იმ პირთა ჩარიცხვა, რომლებიც:
  - ა) სწავლობდნენ და მიიღეს სრული ზოგადი განათლება უცხოეთში სწავლით არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში;
  - ბ) ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში და სწავლობდნენ ამ ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
3. საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე დასაშვებია იმ პირთა ჩარიცხვა რომლებიც:
  - ა) ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში არანაკლებ 2 წლის განმავლობაში და ფლობენ უცხო ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებულ აკადემიურ ხარისხს და დიპლომს ან სწავლობდნენ უცხო ქვეყნის მაგისტრატურაში;
  - ბ) ჩაირიცხნენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონის “უმაღლესი განათლების შესახებ” 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.
- 3.1 აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს/ სტუდენტებს უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის თაობაზე განცხადებით მიმართონ სსიპ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს საქართველოში ბოლო ჩამოსვლიდან ორი წლის განმავლობაში. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის ბ-ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მაგისტრანტობის კანდიდატებზე. განცხადებით მიმართვა ხდება აღნიშნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე ან რომლის მიღება შესაძლებელია ასევე ცენტრში. (რექტორის ბრძანება 01-05/005 29.02.2012)
4. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება შემდეგი პროცედურის დაცვით:
  - ა) პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს და სურვილი აქვთ ისწავლონ უნივერსიტეტში, მიმართავენ სტუდენტთა მობილობისა და რეგისტრაციის ცენტრს ვაკანტური ადგილების დადგენის მიზნით.
  - ბ) ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენად, გასცემს თანხმობის წერილს კონკრეტული პირის ჩარიცხვის შესაძლებლობის თაობა-

ზე შესაბამისი სკოლის/სპეციალობის/ პროგრამის მითითებით.

- გ) უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვა შესაძლებელია რექტორის სამართლებრივი აქტით, ზემოაღნიშნული კატეგორიის ჩარიცხვის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ოთხი თვის ვადაში. (რექტორის ბრძანება 01-05/005 29.02.2012)
- დ) კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:
- ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ყველა გვერდის ასლი;
  - ბ) უცხო ქვეყანაში ბოლო 2 წლის ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტებიდან ერთ-ერთი:
    - უცხო ქვეყანაში რეგისტრაციის დოკუმენტი;
    - საკონსულო აღრიცხვის დოკუმენტი;
    - ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ადასტურებს პირის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტს.
  - გ) უცხო ქვეყანაში სრული ზოგადი განათლების ან მისი ექვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - დ) უნივერსიტეტის თანხმობის წერილი;
  - ე) სრული ზოგადი განათლების საფეხურზე ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამ მუხლის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში);
  - ვ) მოქალაქეობის არმქონე პირისათვის – ბინადრობის მოწმობის ასლი;
  - ზ) აკადემიური ცნობა საგნების ნუსხის, საათების და მიღებული შეფასებების მითითებით დამოწმებული აპოსტილის წესით ან შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით;
  - თ) უცხო ენაზე შედგენილ დოკუმენტებს უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, დამოწმებული ნოტარიული წესით.

#### მუხლი 7. დოქტორანტურის საბანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

1. დოქტორანტურის საბანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ცხადდება რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ინფორმაცია ვრცელდება უნივერსიტეტის ვებ გვერდით, საჯაროდ/საინფორმაციო საშუალებებით.
2. ჩარიცხვის მსურველმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:
  - ა) პირადობის მოწმობის ასლი;
  - ბ) განაცხადი სადოქტორო პროგრამაზე დასაშვებად (საკვლევი თემატიკის მითითებით და მეცნიერ-ხელმძღვანელობის კანდიდატის თანხმობით);
  - გ) CV პირადი ხელმოწერით;
  - დ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი დანართთან ერთად (ასლი);
  - ე) ერთი პროფესორის რეკომენდაცია (უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმით);

- ზ) რეკომენდაცია სამსახურიდან (უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმით) ან ორი პიროვნების/რეკომენდატორის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, ვისგანაც შეიძლება ინფორმაციის მიღება აპლიკანტის შესახებ;
- თ) სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის);
- ი) ორი ფერადი ფოტოსურათი (3X4) CD დისკთან ერთად;
- კ) სამოტივაციო წერილი;
- ლ) საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ ძალაში შესვლამდე მოპოვებული უმაღლესი განათლების დიპლომის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი. (რექტორის ბრძანება 01-05/068 03.01.2014)

2.1 ამოღებულია (რექტორის ბრძანება 01-05/068 03.01.2014)

3. დოქტორანტურაში პირი ჩაირიცხება საკონკურსო წესით.
4. კონკურსზე დაიშვებიან პირები, რომლებსაც აქვთ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და დიპლომი.
5. კონკურსის პროცედურა შედგება ორი კომპონენტისაგან:
  - ა) რეფერატის ან გამოქვეყნებული ნაშრომის დაცვა საგამოცდო-საექსპერტო კომისიის წინაშე;
  - ბ) გამოცდა:
    - ერთ-ერთ ევროპულ ენაში (სავალდებულო). აუცილებლობის შემთხვევაში კონკრეტულ საგამოცდო ენას განსაზღვრავს აკადემიური პროგრამა.
    - სპეციალობაში (არასავალდებულო), აკადემიური პროგრამის კომიტეტის გადაწყვეტილებით.
  - გ) უცხოურ ენაში, კონკურსანტის მომზადების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს არანაკლებ B2 დონეს. უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის კონკურსანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერტიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

5.1 საკონკურსო რეფერატის/გამოქვეყნებული ნაშრომის დაცვის პროცესით უნდა გამოვლინდეს:

- ა) აპლიკანტის კვლევის ინტერესების სფერო;
- ბ) აპლიკანტის აკადემიური დონე დარგობრივი სფეროს ფარგლებში, რაც გულისხმობს:
  - თეორიებსა და კვლევებზე დაფუძნებული დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას;
  - დარგობრივი პრინციპებისა და მეთოდების სრულყოფილ ცოდნას.
- გ) ზოგადი და კვლევითი კომპეტენცია, რაც გულისხმობს:
  - ანალიზისა და სინთეზის უნარს;



- პრობლემის დასმის/ხედვის და მისი ორიგინალურად განვითარების უნარს;
  - წარდგენილ ნაშრომში განვითარებული აზრის და/ან კვლევის შედეგების საფუძველზე დასკვნების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და დამაჯერებელი არგუმენტაციით წარდგენის/დაცვის უნარს.
- დ) საკონკურსო რეფერატი უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტში დადგენილ ზოგად ფორმალურ მოთხოვნებს. (რექტორის ბრძანება 01-05/005 29.02.2012)

5.2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული პროცედურები, ვადები და დოქტორანტთა ჩარიცხვის ორგანიზაციული უზრუნველყოფა განისაზღვრება “საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.” (რექტორის ბრძანება 01-05/068 03.01.2014)

6. საკონკურსო შედეგების საფუძველზე დოქტორანტთან ფორმდება ხელშეკრულება და გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი კონკრეტულ პირთა ჩარიცხვის შესახებ, რაც გულისხმობს სტუდენტის სტატუსის მინიჭებას.

### **თავი III სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

მუხლი 8. მოწესრიგების სფერო

1. ეს თავი არეგულირებს სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის შეჩერების საკითხებს.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს, როგორც უნივერსიტეტის, ისე სტუდენტის უფლებებისა და ურთიერთვალდებულებებისგან დროებით განთავისუფლებას.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველები

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს:
  - ა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა დადგენილ ვადაში ან ფინანსური დავალიანება, თუ არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება;
  - ბ) ამ დებულების 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით და 39-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევები;
  - გ) საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა ან უარყოფითი შეფასების მიღება, რომელიც გათვალისწინებულია ამავე დებულების 43-ე მუხლის მე-7 პუნქტით.
  - დ) პირადი განცხადება;
  - ე) სამხედრო სამსახურში გაწვევა;
  - ვ) აკადემიურ შეგუბლებაში გასვლა;
  - ზ) საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება;
  - თ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა არა მძიმე დანაშაულისათვის, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს არა უმეტეს 2 წლის ვადით.
2. აკადემიურ შეგუბლებაში გასვლის მიზეზი შეიძლება იყოს:

- ა) ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს;
- ბ) მშობიარობა და შემდგომი მდგომარეობა ბავშვის მოვლის ჩათვლით.

3. სტუდენტის სტატუსი შეჩერებულად ეთვლება პირებს, რომლებიც გაირიცხნენ/ამორიცხნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ - ძალაში შესვლამდე, მაგრამ არა უმეტეს 10 წლის წინ, ამასთან, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესით გათვალისწინებული შემთხვევა.
4. სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, მიიჩნევიან სტატუსშეჩერებულ პირებად.

**მუხლი 10. გადაწყვეტილება სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ**

1. მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობის არსებობის შემთხვევაში გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.
2. რექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძველია:
  - ა) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სკოლის დეკანის წარდგინება;
  - ბ) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” და “გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – დეკანის წარდგინება.
  - გ) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის “დ”, “ე”, “ვ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სტუდენტის ან მისი მშობლის (შეუძლებელია სტუდენტის გამოცხადება) განცხადება შესაბამისი ცნობებთან ერთად;
  - დ) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სტუდენტის პირადი განცხადება;
  - ე) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ”თ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლო ორგანოებიდან მიღებული დოკუმენტი.

**მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეჩერების ხანგრძლივობა**

1. ამოღებულია (რექტორის ბრძანება №01-05/022; 02.06.2015).
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება დასაშვებია არა უმეტეს 5 წლის ვადით.

**მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის შეჩერების ორბანიზაციული უზრუნველყოფა და სამართლებრივი შედეგები**

1. სტუდენტი, რომელსაც შეუჩერდება სტატუსი არ ჩაითვლება უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობაში.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 1 სამუშაო დღის ვადაში, შეტანილ უნდა იქნას შესწორება უნივერსიტეტის შესაბამის მონაცემთა ბაზასა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
3. მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის განხორციელებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი, პროცედურის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კანცელარიას, ხოლო კონტროლი - უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისის სამსახურს.
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება სტუდენტს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანებისაგან, რომელიც მას წარმოეშვა სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემამდე და იგი ვალდებულია დაფაროს ეს დავალიანება. ფინანსური დავალიანების დაფარვისათვის თავის არიდების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია გაატაროს ადმინისტრაციული ზომები, სასამართლო დავაში მონაწილეობის ჩათვლით.

#### **თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

##### **მუხლი 13. მოწესრიგების სწავლა**

1. ეს თავი არეგულირებს სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხებს.
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა გულისხმობს უნივერსიტეტის და სტუდენტის უფლებებისა და ურთიერთვალდებულებების შეწყვეტას.

##### **მუხლი 14. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები**

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:
  - ა) პროგრამული ციკლის დასრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება;
  - ბ) სტუდენტის პირადი განცხადება სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
  - გ) აკადემიური საფეხურების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა, რაც გამოიხატება ამ დებულების 39-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით, აგრეთვე საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების მოთხოვნების შეუსრულებლობით. (რექტორის ბრძანება 01-05/034 31.07.2013)
  - დ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
  - ე) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;
  - ვ) ინფორმაციის/მონაცემების გაყალბება;
  - ზ) ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მიიმე დანაშაულისათვის;
  - თ) დისციპლინური გადაცდომის ისეთი ფორმებით გამოვლენა, რომელიც გათვალისწინებულია სტუდენტის ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის “დ” ქვეპუნქტით;
  - ი) იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან გასულია 5-ზე მეტი წელი (სტატუსი მას ავტომატურად უწყდება).

**მუხლი 15. გადაწყვეტილება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ**

1. ამავე დებულების მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფაქტის არსებობისას სტუდენტის სტატუსი წყდება ავტომატურად, ხოლო სხვა შემთხვევებში მოქმედებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით დადგენილი სხვა წესები.
2. სამართლებრივი შედეგი, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, დგება რექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ, დროის ამ მონაკვეთში სტატუსი შეჩერებულიად ითვლება და სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს მობილობის უფლება. (რექტორის ბრძანება 01-05/005; 29.02.2012)

**მუხლი 16. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ორბანიზაციული უზრუნველყოფა და სამართლებრივი შედეგები**

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგი უნდა აისახოს უნივერსიტეტის შესაბამის მონაცემთა ბაზასა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმის განხორციელებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი, პროცედურის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კანცელარიას, ხოლო კონტროლი - უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისის სამსახურს.
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სტუდენტს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანებისაგან, რომელიც წარმოეშვა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. იგი ვალდებულია დაფაროს ეს დავალიანება. ფინანსური დავალიანების დაფარვისათვის თავის არიდების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია გაატაროს ადმინისტრაციული ზომები, სამართლებრივ დავაში მონაწილეობის ჩათვლით.

**თავი V. სტუდენტის სტატუსის აღდგენა**

**მუხლი 17. მოწესრიგების სფერო**

1. ეს თავი არეგულირებს სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცედურას სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე.
2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა გულისხმობს იმ უფლება-მოვალეობების სრულად აღდგენას, რომელიც სტუდენტს დროებით მოეხსნა სტატუსის შეჩერებით.

**მუხლი 18. სტუდენტის სტატუსის აღდგენის საფუძვლები**

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დაიშვება სტატუსის შეჩერების დღიდან 5 წლის ფარგლებში ამ დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. დასაშვებია იმ სტუდენტთა სტატუსის აღდგენა, რომლებიც გაირიცხნენ /ამორიცხნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/6 ბრძანების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ - ძალაში შესვლამდე, მაგრამ არა უმეტეს 10 წლის წინ, ამასთან, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესით გათვალისწინებული შემთხვევები.
3. ამ თავით დადგენილი პირობები ვრცელდება მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
4. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტუდენტის მიერ გავლილი და მოქმედი პროგრამების შედარების შედეგად.
5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა, რომელიც გათვალისწინებულია პირის თავისუფლების აღკვეთის შესახებ ამავე დებულების მე-9 მუხლის, 1-ლი პუნქტის “თ,, ქვეპუნქტით, დაიშვება შესაბამისი დაწესებულებიდან დადებითი დახასიათების/რეკომენდაციის მიღების და მიმღები სკოლის თანხმობის შემდეგ.
6. სტუდენტის სტატუსის აღდგენა გულისხმობს პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლას, რისთვისაც სტუდენტმა ერთჯერადად უნდა გადაიხადოს რეგისტრაციის საზღაური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტს სტატუსი შეჩერებული ჰქონდა სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით.
7. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისთვის სტუდენტს ფინანსური დავალიანება აქვს, იგი ვალდებულია დაფაროს ეს დავალიანება და, პირველად ადმინისტრაციულ რეგისტრაციასთან ერთად, გაიაროს ძირითადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, თუ არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება.
8. სტუდენტის სწავლის საზღაური განისაზღვრება სტატუსის აღდგენის მომენტისთვის არსებული სწავლის ღირებულების ოდენობით თუ არ იქნება მიღებული სხვა გადაწყვეტილება.
9. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია უნივერსიტეტისთვის დადგენილ სტუდენტთა კონტინგენტის ზღვარს ზევით. ამ შემთხვევაში ზღვარს ზევით ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კონტინგენტს.

#### მუხლი 19. სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცედურა

1. უნივერსიტეტში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსის აღდგენისათვის ვრცელდება მობილობის ზოგადი წესი (იხ. ამ დებულების VII თავი – სტუდენტთა მობილობა).

2. უნივერსიტეტის მიერ სტატუსშეჩერებული პირი, რომელსაც სურს სტუდენტის სტატუსის აღდგენა, მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განცხადებით.
3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება შემდეგი პროცედურის დაცვით:
  - ა) სტუდენტის განცხადებას, სტატუსის აღდგენის თხოვნით, სტუდენტთა მობილობისა და რეგისტრაციის ცენტრი, უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციით დადგენილი ნორმების შესაბამისად, განსახილველად გადასცემს სკოლას;
  - ბ) სკოლის ხარისხის მართვის ოფისი 10 დღის ვადაში ამზადებს შედარებით ანალიზს აღდგენის მსურველის მიერ გავლილი და მოქმედი პროგრამების სასწავლო კურსების თავსებადობის შესახებ;
  - გ) უნივერსიტეტის პროგრამების აკადემიური ცნობისა და მობილობის კომიტეტი განიხილავს შესაბამის მონაცემებს და იღებს გადაწყვეტილებას აღდგენის მსურველისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზანშეწონილობის შესახებ;
  - დ) დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში, გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ;
  - ე) ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროცედურა არ ვრცელდება უნივერსიტეტის მიერ სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა იმ კატეგორიაზე, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული ჰქონდათ არა უმეტეს ერთი სასწავლო წლის ფარგლებში;
  - ვ) სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ მოქმედებს ნორმები, რომელიც გათვალისწინებულია ამავე დებულების 27-ე მუხლის მე-8 პუნქტით.

**თავი VI. აკადემიური პროგრამის შეჩერების, გაუქმების ან შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფა**

მუხლი 20. უნივერსიტეტში აკადემიური პროგრამის შეჩერება, გაუქმება ან შეცვლა

1. უნივერსიტეტში აკადემიური პროგრამის შეჩერების, გაუქმების ან შეცვლის საფუძველი შეიძლება გახდეს:
  - ა) მომხმარებლებს შორის ამ პროგრამაზე მოთხოვნის შესუსტება/არარსებობა;
  - ბ) ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარებისათვის ამ პროგრამის საჭიროების ხარისხის შესუსტება ან არარსებობა;
  - გ) პროგრამისათვის აკრედიტაციის არმინიჭება;
  - დ) პროგრამის განხორციელების არარენტაბელურობა;
  - ე) სხვა მიზეზი.

მუხლი 21. გადაწყვეტილების მიღება

1. იმ შემთხვევაში თუ მე-20 მუხლით დადგენილი პირობებიდან ერთ-ერთი სახეზეა სკოლის დეკანი ამზადებს წერილობით დასკვნას პროგრამის შემდგომი განხორციელების მიზანშეუწონილობის შესახებ და წარუდგენს რექტორს განსახილველად.

2. დასკვნის განხილვის შედეგად რექტორმა შეიძლება დააკმაყოფილოს მოთხოვნა ან მოიწვიოს შესაბამისი ექსპერტები საკითხის ღრმად შესასწავლად.

**მუხლი 22. გადაწყვეტილება სტუდენტთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფის შესახებ**

1. გადაწყვეტილება სტუდენტთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფის შესახებ მიიღებ შემდეგი პროცედურების დაცვით:
  - ა) უნივერსიტეტის რექტორი, სკოლის დეკანი ან ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროგრამის შეჩერების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ, რომლითაც განსაზღვრავს ვადას სტუდენტთა მიერ, უნივერსიტეტის ფარგლებში, შეცვლილი/სხვა პროგრამით სწავლის გაგრძელების ან უარის თქმის, ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ანალოგიური პროგრამით სწავლის გაგრძელების შესახებ განცხადების წარდგენისათვის.
  - ბ) იმ შემთხვევაში თუ სტუდენტები განაცხადებენ თანხმობას უნივერსიტეტის ფარგლებში შეცვლილი/სხვა პროგრამით სწავლის გაგრძელების შესახებ სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს დაგროვილი კრედიტებისა და მიმღები პროგრამის დისციპლინების შედარებით ანალიზს;
  - გ) იმ შემთხვევაში თუ კრედიტების ცდომილება შეთავაზებულ პროგრამასა და სტუდენტის მიერ დაგროვილ კრედიტებს შორის არ აღემატება 40-ს, უნივერსიტეტი ნიშნავს დამატებით სემესტრს განსხვავებული კურსების გასავლელად, რისთვისაც სტუდენტებს დამატებითი გადასახადი არ დაეკისრებათ;
  - დ) იმ შემთხვევაში თუ განსხვავებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 40-ს, სტუდენტებს შეეთავაზებათ სწავლის გაგრძელება სპეციალურად შედგენილი გრაფიკის მიხედვით დისციპლინათა წინარეკვიზიტებისა და კრედიტების ოპტიმალურობის გათვალისწინებით (წელიწადში არა უმეტეს 75 კრედიტის დაგროვების შესაძლებლობით);
  - ე) თუ გამოირიცხება ამ მუხლის 1-ლი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, უნივერსიტეტი ვალდებულია მოიძიოს გაუქმებული/შეცვლილი აკადემიური პროგრამის შესაბამისი პროგრამა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და გააფორმოს ხელშეკრულება სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ცნობისა და სტუდენტთა გადაყვანის შესახებ;
  - ვ) უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისის სამსახური უშუალოდ ახორციელებს ამ დაწესებულებაში სტუდენტის გადაყვანის პროცედურას – მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აწვდის საჭირო ინფორმაციას, უზრუნველყოფს დადგენილი პროცედურის განხორციელებას.
2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის “ე” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უნივერსიტეტი შესაბამის ინფორმაციას აწვდის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

**თავი VII. სტუდენტთა მოხილვა**

**მუხლი 23. მოწვევების სფერო**

1. ეს თავი განსაზღვრავს უნივერსიტეტის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის

სტუდენტთა მობილობის წესს.

- ამ დებულებით მობილობა გულისხმობს სტუდენტის გადასვლას ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან მოძრაობას ერთი დაწესებულების ფარგლებში.
- ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა დაიშვება ერთი საგანმანათლებლო საფეხურის ფარგლებში, ჩარიცხვიდან ერთი წლის შემდეგ.

#### მუხლი 24. მობილობის პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

- სტუდენტთა მობილობის პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილობისა და რეგისტრაციის ცენტრი, უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების ცნობისა და მობილობის კომიტეტი, სკოლის მობილობისა და რეგისტრაციის ცენტრი და ხარისხის მართვის ოფისი.
- ხელმისაწვდომობის მიზნით უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსდება ინფორმაცია მობილობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

#### მუხლი 25. მობილობის წესით სტუდენტთა მიღების გამოცხადება

- სტუდენტთა მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ – საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების დაწყებამდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ პერიოდში.

#### მუხლი 26. მობილობის პროცესის პროცედურა

- მობილობის მსურველის სტატუსს, სტუდენტი მოიპოვებს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით. რეგისტრაციის მონაცემები ძალაში შედის მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის საფასურის გადახდის შემდეგ. ამ საფასურის, ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტი ვერ მოიპოვებს მობილობის სტუდენტის სტატუსს (რექტორის ბრძანება 01-05/005 29.02.2012)
- ელექტრონულ პორტალზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალის წარმოების წესის შესაბამისად.
- ელექტრონულ პორტალზე აისახება:
  - უნივერსიტეტის ადგილები მობილობის წესით სტუდენტების მისაღებად, აკადემიური საფეხურების/სკოლების საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;
  - მობილობის უფლების მქონე პირების ელექტრონული განაცხადები/ პრიორიტეტები.
- იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა ნაკლებია მსურველთა რაოდენობაზე უნივერსიტეტში



ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ ის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის მსურველ სხვა სტუდენტთა შედეგებს.

5. დოქტორანტების გადმოსვლა ხორციელდება დოქტორანტურის დებულებით დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით.
6. იმ შემთხვევაში თუ ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი სტუდენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანხმობით უნივერსიტეტს შეუძლია დაუმატოს ადგილები, ხოლო თუ არ არსებობს შესაბამისი პირობები, უნივერსიტეტს შეუძლია მოითხოვოს ადგილების დამატება დადგენილ ზღვარს ზევით. ამავე ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ეს რაოდენობა გამოაკლდება მომავალ წელს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას.
7. ელექტრონულ პორტალზე იმ პირთა სიის გამოქვეყნების შემდეგ, რომლებიც ავლენენ მზაობას უნივერსიტეტში ჩარიცხვისათვის, მობილობის მსურველი უფლებამოსილია მომართოს უნივერსიტეტს განცხადებით
8. ელექტრონულ პორტალზე განთავსებული სიის შესაბამისად მობილობის მსურველთა განცხადებების რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტში.
9. უნივერსიტეტში რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები:
  - განცხადება რექტორის სახელზე (ივსება ადგილზე);
  - აპლიკაცია (ივსება ადგილზე);
  - პირადობის მოწმობის ასლი;
  - სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის);
  - ატესტატის ასლი; (ბაკალავრიატისა და დიპლომირებული მედიკოსის სტუდენტებისთვის);
  - ეროვნული გაამოცდის სეტიფიკატის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
  - აკადემიური ცნობა კრედიტებისა და შეფასებების მიხედვით;
  - 2 ფოტოსურათი (3X4) CD დისკთან ერთად;
  - სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის ასლი;
  - სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში);
  - დიპლომი დანართთან ერთად (მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებისათვის);
  - საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ ძალაში შესვლამდე მოპოვებული უმაღლესი განათლების დიპლომის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებისათვის). (რექტორის ბრძანება 01-05/068 03.01.2014)

## მუხლი 27. ბალანსიტილების მიღების პროცედურა

1. 26-ე მუხლის, მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ - სასწავლო კურსების იდენტიფიკაცია, საექსპერტო დასკვნების

მომზადება.

2. პროგრამების აკადემიური ცნობისა და სტუდენტთა მობილობის კომიტეტის სხდომის ჩატარება კრედიტების ცნობის მიზნით.
3. გამოცდის/გასაუბრების ჩატარება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. გამოცდის/გასაუბრების შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან უნივერსიტეტის თანხმობის შემთხვევაში სტუდენტთა სიის გამოქვეყნება ვებ გვერდზე.
5. მობილობის მსურველთა ჩარიცხვის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტის პროექტს ამზადებს უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილობისა და რეგისტრაციის ცენტრი, რომელიც იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში.
6. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში, რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს მობილობის მსურველი სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ.
7. რექტორის სამართლებრივი აქტი, სტუდენტთა მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა შემოდგომის სემესტრში 1 ოქტომბრამდე ან გაზაფხულის სემესტრში 1 მარტამდე.
8. რექტორის სამართლებრივი აქტი სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ, გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ამასთან, რექტორის სამართლებრივი აქტი, მობილობის ფარგლებში, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის შესახებ, წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 7 ოქტომბრამდე შემოდგომის და/ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. (რექტორის ბრძანება 01-05/034 31.07.2013)
9. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ გაივლის რეგისტრაციას უნივერსიტეტში, კარგავს ჩარიცხვის უფლებას.

#### მუხლი 28. კრედიტების ცნობა/აღიარება

1. კრედიტების იდენტიფიცირებას და შესაბამისი დასკვნის მომზადებას უზრუნველყოფს სკოლის ხარისხის მართვის ოფისი მიმღები პროგრამის კომიტეტის ხელმძღვანელის მონაწილეობით.
2. კრედიტების აღიარება ავტომატურად ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საიდენტიფიკაციო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა მიმღები პროგრამის კურსის დასახელებას და კრედიტების რაოდენობას.

3. იმ შემთხვევაში, თუ საიდენტიფიკაციო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება მიმღები პროგრამის კურსის კრედიტების რაოდენობას, ცნობილ უნდა იქნეს მიმღები პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობა, მაგრამ, სტუდენტის ინტერესის გათვალისწინებით, შესაძლებელია დარჩენილი კრედიტებიც ჩაითვალოს საერთო რაოდენობაში.
4. იმ შემთხვევაში, თუ მიმღები პროგრამით გათვალისწინებული კურსის კრედიტების რაოდენობა მეტია საიდენტიფიკაციო იდენტური ან არა იდენტური სასწავლო კურსის კრედიტებზე, შესაძლებელია ამ კურსის კრედიტებს დაემატოს ის დარჩენილი კრედიტები, რომელიც წარმოიშვება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
5. იმ შემთხვევაში, თუ საიდენტიფიკაციო კურსის დასახელება არ ემთხვევა მიმღები პროგრამის კურსის დასახელებას, შესაძლებელია ცნობილ იქნეს ამ კურსის კრედიტები მიმღები პროგრამით გათვალისწინებული ანალოგიური კურსის ძირითად შინაარსთან თავსებადობის საფუძველზე ან ჩაითვალოს სპეციალობის არჩევით კურსად მიღებული კრედიტების აღიარებით.
6. საიდენტიფიკაციო სასწავლო კურსის შინაარსის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:
  - ა) მობილობის მსურველის მშობლიური უნივერსიტეტის ვებ გვერდით;
  - ბ) ამავე უნივერსიტეტიდან მიღებული სატელეფონო ინფორმაციით;
  - გ) შესაბამისი კურსის სილაბუსით.
7. შესაძლებელია შინაარსობრივად არათანხვედრი კურსების კრედიტების აღიარება, თუ ისინი განეკუთვნებიან სპეციალობის დისციპლინების ჯგუფს. ასეთი კურსებით დაგროვილი კრედიტები ჩაითვლება სპეციალობის არჩევითი კურსების კრედიტებად.
8. დასკვნას, კრედიტების აღიარება-არაღიარების შესახებ, ეცნობა სტუდენტი, რექტორის ბრძანების პროექტის გამოცემამდე, რასაც ადასტურებს ხელმოწერით (რექტორის ბრძანება №01-05/022; 02.06.2015)

**მუხლი 29. კურსების აღიარება ECTS არმქონე საბანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმომსვლელი სტუდენტებისათვის**

1. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი წარმოადგენს აკადემიურ ცნობას არა ECTS კრედიტებით არამედ სხვა სისტემით, მოთხოვნილ უნდა იქნეს სტუდენტის მშობლიური სასწავლებლიდან განმარტებითი ბარათი წარმოდგენილი სისტემის ECTS კრედიტებთან შესაბამისობის შესახებ.

**მუხლი 30. არასაკრედიტო სისტემით წარმოდგენილი აკადემიური შედეგების იდენტიფიცირება**

1. არასაკრედიტო სისტემით შეფასებული კურსების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია თითოეულისათვის კრედიტების მინიჭება ცალ-ცალკე.
2. არასაკრედიტო სისტემით შეფასებული კურსებისათვის კრედიტის მინიჭება

ხდება შემდეგი წესით:

- ა) ყოველი კურსის საკონტაქტო საათი უნდა გამრავლდეს 2.5-ზე და გაიყოს 25-ზე – მიღებული ციფრი ჩაითვლება კურსის კრედიტად.
- ბ) თუ აღნიშნული წესით დაანგარიშებული კრედიტი არ იძლევა მთელ ციფრს – ის უნდა დამრგვალდეს.

3. 5 ბალიანი სისტემით კურსების შეფასების შემთხვევაში აუცილებელია მათი გადაყვანა 100 ბალიან სისტემაზე, კერძოდ:

“5” ბალიან კარგი = 81 ქულა

“4” კარგი = 71 ქულა

“3” დამაკმაყოფილებელი = 51 ქულა

### მუხლი 31. გამოცდა/ბასაშუბრება

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ჩაატაროს გამოცდა ან გასაუბრება მობილობის მსურველთა მომზადების დონის თავსებადობის დადგენის მიზნით, მიმღები პროგრამით დადგენილ მოთხოვნებთან ან ზოგიერთი განსხვავებული სასწავლო კურსის თემატიკის ფარგლებში ცოდნის გამოსავლენად, ამ კურსის კრედიტის აღიარების მიზნით.
2. გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს სკოლის დეკანატი.
3. გამოცდა ტარდება ტესტირების ან წერიითი ფორმით.
4. საგამოცდო ტესტი/ბილეთი შეიცავს გავლილი პროგრამული ციკლის ნაკრებ მასალას, რომლითაც დგინდება სტუდენტის ცოდნის დონე და მზაობის ხარისხი მიმღები პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
5. საგამოცდო კომისიები იქმნება დეკანის განკარგულებით.
6. გამოცდის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

### მუხლი 32. მობილობის გამოცდის/ბასაშუბრების შედეგების ბასაჩივრება

1. გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 24 საათის განმავლობაში სტუდენტი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტს მიღებული შეფასების გადასინჯვის მოთხოვნით.
2. განცხადების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.
3. სააპელაციო კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც პასუხისმგებელია კომისიის გადაწყვეტილების ობიექტურობაზე. ის აწერს ხელს კომისიის დასკვნას.
4. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, კომისია უფლებამოსილია ძალაში დატოვოს ან შეცვალოს საგამოცდო კომისიის მიერ

გაკეთებული შეფასება.

### მუხლი 33. შიდა მობილობა

1. შიდა მობილობა გულისხმობს უნივერსიტეტის სტუდენტის გადასვლას ერთი სკოლიდან/პროგრამიდან მეორეზე.
2. შიდა მობილობა დაიშვება ბაკალავრიატის პირველი სემესტრისა და ყველა მომდევნო სემესტრის დასრულების შემდეგ. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული გაზაფხულის და შემოდგომის მობილობის პერიოდში, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ვადების ფარგლებში. (რექტორის ბრძანება 01-05/068 03.01.2014)
3. შიდა მობილობის განხორციელებისათვის აუცილებელი/საჭირო წესი/ პროცედურები და ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.” (რექტორის ბრძანება 01-05/068 03.01.2014)
4. ამოღებულ იქნეს. (რექტორის ბრძანება 01-05/068 03.01.2014)
5. იმ შემთხვევაში თუ სხვა პროგრამაზე სწავლის საზღაური განსხვავებულია სტუდენტს დაეკისრება საზღაურის ის ოდენობა, რაც დაწესებულია არჩეულ პროგრამაზე, თუ არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება.
6. ამ მუხლით დადგენილი პროცედურების დასრულების შემდეგ გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი და ამოქმედდება ამავე დებულების 27 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი ნორმა.

### მუხლი 34. უნივერსიტეტიდან გადასვლა

1. მობილობის პროცესისთვის დადგენილ პერიოდში სტუდენტი მიმართავს განცხადებით სკოლის დეკანს მობილობისათვის საჭირო დოკუმენტების ასლის მიწოდების შესახებ.
2. სამი სამუშაო დღის ვადაში სკოლის მობილობისა და რეგისტრაციის ოფისი ამზადებს შესაბამისი დოკუმენტების ასლებს და გადასცემს სტუდენტს.
3. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, შესაბამისი მომართვის საფუძველზე, გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.
4. სტუდენტის მომართვიდან 1 კვირის ფარგლებში გაიცემა ამონაწერი შესაბამისი სამართლებრივი აქტიდან და პირად საქმეში არსებული დოკუმენტები.
5. მობილობისათვის საჭირო დოკუმენტების მიღებამდე სტუდენტი ვალდებულია და ფაროს ფინანსური დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

### მუხლი 35. მოწესრიგების სფერო

1. ეს თავი არეგულირებს სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე შეფასებისა და სტუდენტის განათლების აღიარების წესებს.
2. მოწესრიგების მიზანია:
  - ა) მაქსიმალურად ზუსტად განსაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და პროცედურა;
  - ბ) დაადგინოს ზოგადი წესი თითოეული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასების და, შესაბამისად, მიღებული განათლების აღიარებისათვის;
  - გ) განსაზღვროს ერთიანი სისტემური სტრუქტურა შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის;
  - დ) ჩამოაყალიბოს აკადემიური ხარისხისა და დიპლომის კლასის მინიჭების სქემა;
  - ე) შექმნას თანაბარი პირობები ყველა სტუდენტისათვის საკუთარი შემეცნებითი რესურსის მაქსიმალურად გამოვლენისა და სწავლის შედეგების ობიექტურად შესაფასებლად.
3. ამ თავში მოცემული დებულებები შეფასებას განიხილავს, როგორც სწავლის შედეგების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მიღების, იდენტიფიცირებისა და მართვის გამჭოლ სისტემას. ის არ გულისხმობს მხოლოდ ხარისხის იდენტიფიცირების მომენტს, არამედ, მოიცავს მომზადების პროცესს ამ მომენტისათვის და განსაზღვრავს ახალი პედაგოგიური ამოცანის ფორმირებისა და სწავლების სტრატეგიის კორექციის პერსპექტივას, ხოლო სტუდენტისათვის – ახალი შემეცნებითი ტაქტიკის გამოუმუშავების საფუძველს.
4. სტუდენტის შეფასების პროცესი ემყარება ცოდნის ობიექტურად შეფასებისა და შემფასებლისათვის შეფასების თავისუფალი სივრცის აღიარების პრინციპს.

### მუხლი 36. მოწესრიგების მიზანი და პრინციპები

1. შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები სასწავლო კურსისა და, მთლიანობაში, აკადემიური პროგრამის დონეზე, შესაბამისი მიზნებთან და შედეგებთან მიმართებით.
2. შეფასების ძირითადი პრინციპებია:
  - გამჭვირვალობის პრინციპი – ინფორმაცია შეფასების მეთოდებსა თუ კრიტერიუმებზე ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სტუდენტმა წლის დასაწყისშივე უნდა იცოდეს როდის და როგორ შეაფასებენ მისი ცოდნა-ჩვევების ამა თუ იმ პარამეტრს.
  - სისტემატურობის პრინციპი – შეფასება არ არის ერთჯერადი აქტი. ის გეგმაზო მიერი პროცესია, რომელიც სწავლის ერთიანი მოტივაციური სისტემის ელემენტია – სტუდენტს გამოუმუშავებს მუდმივ მზაობას გამოავლინოს და განსაზღვროს საკუთარი შრომის ეფექტიანობა, ხოლო პედაგოგს – განახორ-

ციელოს მონიტორინგი სტუდენტის ცოდნის შექმნისა და განვითარების პროცესზე.

- სამართლიანობის პრინციპი – მიდგომა ყველა სტუდენტის ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი სტანდარტით უნდა განხორციელდეს. თითოეულ სტუდენტს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლის მისაღწევად.
- ოპტიმალურობის პრინციპი – გულისხმობს შეფასების მეთოდების შერჩევას იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას სრულყოფილი ინფორმაციის მიღება შესაფასებელი პარამეტრების ხარისხობრივი დონის შესახებ მაქსიმალურად მცირე დროში; მეორე მხრივ, შეფასების სისწორე უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იმგვარად, რომ შემოწმების მაღალმა ინტენსივობამ პასუხისმგებლობის მქონე სტუდენტებში არ გამოიწვიოს ნევროზული მდგომარეობა და, შესაბამისად, შემეცნებითი აქტივობის დაქვეითება, ხოლო დანარჩენებში ინდიფერენტულობის ჩამოყალიბება.
- დიფერენცირების პრინციპი – შეფასების მეთოდები უნდა შეირჩეს აკადემიური პროგრამის დონისა და თითოეულ დონეზე დასახული საგანმანათლებლო ამოცანების გათვალისწინებით.
- სანდოობის პრინციპი – შეფასება სტანდარტული კრიტერიუმებით უნდა განხორციელდეს და რეალურად ასახოს შესაფასებელი პარამეტრების ხარისხობრივი დონე.

### მუხლი 37. კრედიტების დაბროვებისა და ტრანსფერის სისტემა და მისი ბაზანბარიშება

1. სტუდენტის მიერ, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებისათვის უნივერსიტეტში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), რომელიც მოიცავს სტუდენტის სრულ აკადემიურ დატვირთვას, განსაზღვრავს მის მიერ თითოეული სასწავლო კურსისათვის, ცალ-ცალკე, და აკადემიური პროგრამისათვის მთლიანად, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, რომლის საზომი, გამოსახული დროის ერთეულებში, არის კრედიტი.
2. კრედიტები ნაწილდება აკადემიური პროგრამის შემადგენელ კომპონენტებს შორის (სასწავლო კურსები, პროფესიული პრაქტიკა, საკვალიფიკაციო ნაშრომი და ა.შ.) და მოიცავს სტუდენტის მიერ ყველა იმ სამუშაოზე დახარჯულ დროს, რომელიც დაკავშირებულია პროგრამული მიზნების/ამოცანების გადაწყვეტასთან. ეს დრო გულისხმობს როგორც საკონტაქტო საათებს (როდესაც პროფესორი/მასწავლებელი უშუალოდ არის ჩართული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლის პროცესში), ისე სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას - გამოცდებისთვის მზადებას, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობას, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის მომზადებას გამოსაქვეყნებლად და ა.შ.
3. უნივერსიტეტში, სრული აკადემიური პროგრამის პირობებში, სტუდენტის დატვირთვა წლის განმავლობაში 60 კრედიტს ანუ 1500 ასტრონომიულ საათს შეადგენს, სადაც ერთი კრედიტი 25 სამუშაო საათს უდრის და მოიცავს 38 კვირას.

4. შესაძლებელია პროგრამის დაგეგმვა სტანდარტულ რაოდენობაზე ნაკლები ან მეტი კრედიტებით, მაგრამ არაუმეტეს 75-ისა წელიწადში.
5. სტუდენტს შეუძლია დამატებით დააგროვოს კრედიტები ამ მუხლის მე-4 პუნქტით დაშვებული ნორმის გათვალისწინებით, რისთვისაც მას შეუძლია აიღოს დამატებითი სემესტრი.
6. ამოღებულია (რექტორის ბრძანება №01-05/022; 02.06.2015).
7. სასწავლო კურსი განისაზღვრება ერთი სემესტრით.
8. სასწავლო კურსი, რომელიც ერთი და იგივე მიზანს, მოცულობას და შინაარსს შეიცავს, არ შეიძლება, სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებისათვის, განსხვავებული კრედიტების რაოდენობით დაიგეგმოს.
9. კრედიტები ნაწილდება საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის შესაძლებლობების გათვალისწინებით.
10. კრედიტების განაწილების ოპტიმალურობა ეფუძნება სტუდენტთა რეალური დატვირთვის შესახებ იბიექტურ ინფორმაციას, რომლის შეგროვების ტაქტიკას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
11. კრედიტების მიღება შესაძლებელია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისა და სწავლის შედეგების დადებითად შეფასების შემდეგ.

#### მუხლი 38. სწავლის ხანგრძლივობა

1. სწავლის ხანგრძლივობა ზოგადად მოიცავს წელიწადში 38 კვირას, ხოლო სემესტრების რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით. სტანდარტული რაოდენობაა:
  - ა) საბაკალავრო პროგრამებისათვის – 8 სემესტრი;
  - ბ) სამაგისტრო პროგრამებისათვის – 4 სემესტრი;
  - გ) სადოქტორო პროგრამებისათვის – 6 სემესტრი;
  - დ) დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამისათვის – 10 სემესტრი.
2. იმ შემთხვევაში თუ დადგენილ ვადაში სტუდენტი ვერ დააგროვებს საჭირო რაოდენობით კრედიტებს და ვერ მიიღებს შესაბამის კვალიფიკაციას – უფლება აქვს დაასრულოს სასწავლო ციკლი, მაგრამ არა უმეტეს 4 სემესტრის მანძილზე, რისთვისაც მან განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სტუდენტის სტატუსის გაგრძელების შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გამოიცემა შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო სტუდენტი რეგისტრირდება შესაბამის სასწავლო კურსებზე.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თუ სტუდენტი, სასწავლო ციკლის ფორმალური ვადის დასრულებიდან 2 კვირის მანძილზე განცხადებით არ მიმართავს რექტორს სტუდენტის სტატუსის გაგრძელების შესახებ, ძალაში შევა პროცედურა სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.



- იმ შემთხვევაში თუ სტუდენტისათვის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადა არ იქნება საკმარისი კრედიტების დასაგროვებლად – უფლება აქვს კვლავ მოითხოვოს სტუდენტის სტატუსის გაგრძელება, მაგრამ სასწავლო აქტივობის დაგეგმვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს პროგრამული ცვლილებები შესაბამისი წინა რეკვიზიტების გათვალისწინებით.
- ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პროცედურა დასაშვებია არა უმეტეს 5 წლის განმავლობაში.

**მუხლი 39. სემესტრული რეზიუმე**

- ყოველი სემესტრის დაწყებისთვის, ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, სტუდენტი გადის რეგისტრაციას, რომელიც გათვალისწინებულია ამ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით.
- ძირითადი პროგრამის დისციპლინების კრედიტები განაწილებულია იმგვარად, რომ სტუდენტს შეუძლია ძირითადთან ერთად აირჩიოს დამატებითი პროგრამა და სხვა დისციპლინები, რომელიც თავისუფალ კომპონენტებად იწოდება ან მხოლოდ თავისუფალი კომპონენტები, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა წელიწადში.
- რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის (სამართალმცოდნეობა, სტომატოლოგია) დამატებითი პროგრამის არჩევა არ დაიშვება, ხოლო თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში შესაძლებელია კრედიტების დაგროვება ძირითადი პროგრამით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.
- სრული საგანმანათლებლო პაკეტის სტრუქტურა შემდეგნაირია:

ა.	სავალდებულო საუნივერსიტეტო დისციპლინები	20	კრედიტი
ბ.	არჩევითი საუნივერსიტეტო დისციპლინები მინიმალური კრედიტების დაგროვების აუცილებლობით	10	კრედიტი
გ.	ძირითადი პროგრამა	120-180	კრედიტი
დ.	დამატებითი პროგრამა	60	კრედიტი
ე.	თავისუფალი კომპონენტები	20-90	კრედიტი

- საუნივერსიტეტო დისციპლინები მოცემულია მოდულების სახით, ხოლო თავისუფალი კომპონენტები წარმოდგენილია მიმართულების მიხედვით.
- ამოღებულია (რექტორის ბრძანება №01-05/022; 02.06.2015) .
- დამატებით პროგრამას და თავისუფალ კომპონენტებს სტუდენტები ირჩევენ სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს 2 კვირით ადრე.
- 1-ლი აკადემიური წლის სტუდენტები დამატებითი პროგრამის და თავისუფალი

კომპონენტების არჩევანს აკეთებენ არა უადრეს მე-2 სემესტრის დაწყებამდე, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაცვით, ხოლო 1-ლი სემესტრის დაწყებამდე ან დაწყებიდან არა უგვიანეს 3 დღით ვადაში, რეგისტრირდებიან საუნივერსიტეტო თავისუფალ კომპონენტებზე, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა პროგრამა (სტუდენტებისთვის სპეციალურად ინიშნება საინფორმაციო-საკონსულტაციო საათები).

9. არ დაიშვება იმ სასწავლო დისციპლინის გავლა, რომლის წინა რეკვიზიტში სტუდენტს არა აქვს კრედიტი მიღებული.
10. თავისუფალი კომპონენტების ჯგუფის ერთ და იმავე დისციპლინაზე სამჯერ რეგისტრაციისა და კრედიტების დაუგროვლობის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სხვა დისციპლინა, მაგრამ არა უმეტეს ერთგზის, ხოლო თუ ასეთი დისციპლინების რაოდენობა სამზე მეტია – ძალაში შედის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პროცედურა.
11. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი ან დამატებითი პროგრამის 2-ზე მეტ დისციპლინაში სტუდენტი სამგზის გავლის მიუხედავად ვერ დააგროვებს შესაბამის კრედიტებს, შეუძლია შეცვალოს სასწავლო დისციპლინები (თუ ამის საშუალებას იძლევა პროგრამა), ან თვით პროგრამა, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალაში შედის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პროცედურა.
12. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს არ შეუძლია ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა დადგენილ დროს, იგი ვალდებულია მიმართოს რექტორს განცხადებით, რომელშიც დასაბუთებული იქნება რეგისტრაციის გაუვლელობის მიზეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ძალაში შევიდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების პროცედურა.
13. შესაძლებელია ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის გარეშე სტუდენტის დაშვება აკადემიურ რეგისტრაციასა და მეცადინეობებზე თუ იმ დროისთვის არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება.
14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობის შემთხვევაში სტუდენტის განათლების აღიარება მოხდება ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ.
15. აკადემიურ რეგისტრაციამდე სტუდენტს შეუძლია გაეცნოს შეთავაზებულ სასწავლო კურსების/პროგრამების ვრცელ ანოტაციას/სილაბუსებს.
16. აკადემიური რეგისტრაციის პროცედურა:
  - ა) რეგისტრაციის ფანჯარა იხსნება სემესტრის დაწყებამდე 3 თვით ადრე, ხოლო იხურება 2 კვირით ადრე.
  - ბ) იმ პერიოდში, ვიდრე რეგისტრაციის ფანჯარა გახსნილია, სტუდენტს რამდენჯერმე შეუძლია არჩევანის შეცვლა, მაგრამ ფანჯრის დახურვის შემდეგ ცვლილებების შეტანა პროგრამულად შეუძლებელი გახდება, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტი გარკვეული რაოდენობის კრედიტებს ვერ დაგროვებს.
  - გ) პროგრამამ შეიძლება სტუდენტი არ დაარეგისტრიროს კონკრეტულ დისციპლინაზე, თუ:

- სტუდენტს უგროვდება, შესაბამის სასწავლო წელს, 75 კრედიტზე მეტი;
- ირღვევა ჯგუფების რაოდენობრივი ქვოტა (თუ ასეთი დაწესებულია);
- იმაზე ნაკლები რაოდენობის სტუდენტია ჯგუფში, ვიდრე ეს დადგენილია სტანდარტით (არაუმეტეს 30, არანაკლებ 10);

**მუხლი 40. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება**

**1. შეფასების სისტემა ორ ნაწილად/კომპონენტად იყოფა:**

- ა) შუალედური შეფასება;
- ბ) დასკვნითი გამოცდა.

- სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100%.
- დასკვნითი გამოცდა ფასდება 40%, ხოლო შუალედური შეფასება - 60%.
- სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზნებისთვის შუალედური შეფასება იყოფა ელემენტებად, რომლებსაც, აგრეთვე, თავისი პროცენტული წილი აქვს 60%-ის ფარგლებში.
- შუალედური შეფასების ელემენტების შინაარსს და პროცენტულ წილს განსაზღვრავს კონკრეტული სილაბუსი, ხოლო სემესტრში ერთხელ, როგორც წესი, ტარდება შუალედური გამოცდა.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება მინიმუმ 51%.
- სტუდენტის სწავლის შედეგები, ცალკეული ელემენტის და დასკვნითი გამოცდის ფარგლებში ფასდება 100 ქულიანი სისტემით (მინიმალური ზღვარით 51), მაგრამ შესაბამისი პროცენტული წილის გათვალისწინებით (მიღებული ქულა X პროცენტულ წილზე).

**2. შეფასების სისტემა უშვებს:**

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% - 90%
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% - 80%
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% - 70%
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% - 60%

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41% - 50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას დისციპლინა ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სტუდენტის საბოლოო შეფასება მიიღება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სისტემით.
4. სწავლის შედეგების FX-ით შეფასებისას, დამატებით გამოცდაზე გასვლა შესაძლებელია იმავე სემესტრში, ერთხელ, გამოცდიდან ერთი თვის ვადაში, მაგრამ არანაკლებ 10 დღის შუალედით. წარუმატებლობის შემთხვევაში, კონკრეტული სასწავლო კურსი სტუდენტმა ხელმეორედ უნდა გაიაროს.
5. F-ით შეფასების შემთხვევაში გადაბარება მოკლე დროში არ დაიშვება. სასწავლო კურსი ხელმეორედ უნდა იქნას გავლილი.
6. შუალედური შემოწმებასა და დასკვნით გამოცდაზე გამსვლელი შეფასების შემთხვევაში, შესაბამისი კომპონენტის გადაბარება ქულის ან პროცენტის მომატების მიზნით არ დაიშვება.
7. საპატიო მიზეზით შუალედური შემოწმების ერთ-ერთი ელემენტის გამოტოვების შემთხვევაში, დეკანს შეუძლია მისი ჩაბარების ნება დართოს სტუდენტს.
8. შეფასებასთან დაკავშირებული მომსახურების ყველა ფორმა, რომელიც სცილდება დაგეგმილს, განიხილება როგორც დამატებითი სერვისი და საჭიროებს დამატებით ფინანსურ უზრუნველყოფას, შესაბამისად, ადმინისტრაციას შეუძლია დაადგინოს დამატებითი მომსახურების საზღაური.
9. საბოლოო შეფასება ეფუძნება შუალედური და საგამოცდო შეფასების შედეგებს, რომელიც გაანგარიშდება აკადემიური პროცესების მართვის ელექტრონული სისტემის “ნექსუსის” მეშვეობით, შემდეგი ფორმულით:

$$q = q1 \times p1 + q2 \times p2 + q3 \times p3 + q4 \times p4 + q5 \times p5$$

სადაც,

q – სტუდენტის საბოლოო შეფასებაა,

p - შუალედური და დასკვნითი შეფასების წილი,

q1, q2, q3, q4, q5 – შუალედური შეფასებებისას და დასკვნითი გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული ქულებია

p1, p2, p3, p4, p5 – შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის წონის პროცენტული გადანაწილება (მაგ. 5%, 10%, 15% და ა.შ.)

კონკრეტული მაგალითი განხილულია სტუდენტის მეგზურში.

10. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი სისტემა:
  - ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
  - ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
  - გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
  - დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ

აკმაყოფილებს;

- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

- 11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის ”ა”-”ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
- 12. ამ მუხლის მე-10 პუნქტის ”ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადა-მუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.
- 13. ამ მუხლის მე-10 პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
- 14. სწავლის შედეგების საშუალო ქულის (GPA) დაანგარიშების წესი (რექტორის ბრძანება №01-05/024, 27.06.2013):

ა). GPA (Grade Point Average) - არის კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგების საშუალო ქულა, რომელიც გამოითვლება კანონმდებლობით დადგენილი უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემასთან მიმართებით და არ ახდენს გავლენას ამ სისტემით დამდგარ შედეგზე. GPA გამოითვლება შემდეგი წესით:

- კურსდამთავრებულის მიერ თითოეულ დისციპლინაში მიღებული შეფასების შესაბამისი კოეფიციენტი (ცხრილი №2) მრავლდება ამავე დისციპლინის კრედიტზე.
- მიღებული ნამრავლთა ჯამი იყოფა საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობაზე.
- მიღებული შედეგი წარმოადგენს კურსდამთავრებულის სწავლის შედეგების საშუალო ქულას.

**მაგალითი:**

5 კრედიტიან დისციპლინაში „ბიზნეს კომუნიკაციები ინგლისურად“ სტუდენტის საბოლოო შეფასებაა 85, რაც შესაბამისობის ცხრილის მიხედვით 3.1 GPA კოეფიციენტის ტოლია. ეს უკანასკნელი მრავლდება აღნიშნული დისციპლინის კრედიტზე, ანუ,  $3.1 \times 5 = 15.5$

მიღებული სიდიდე წარმოადგენს სტუდენტის მიერ ზემოაღნიშნულ დისციპლინაში მიღებული საბოლოო შეფასების საშუალო ქულას (GPA).

მოცემული ფორმულის მიხედვით ანგარიშდება თითოეული დისციპლინის GPA ქულა. მიღებული შედეგები ჯამდება და იყოფა საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობაზე:

$373 / 120 = 3.1$  მიღებული სიდიდე წარმოადგენს კურსდამთავრებულის სწავლის შედეგების საშუალო (GPA) ქულას.

ცხრილი №1. დიპლომის დანართი. პუნქტი 4.3. პროგრამის დეტალები და მიღებული ინდივიდუალური ნიშნები

კოდი	დისციპლინის დასახელება	დონე	ხარისხი	შეფასება	კრედიტი
BUS 201C	ბიზნეს კომუნიკაციები ინგლისურად	1	B	85	5
BUS 202C	ბიზნეს კომუნიკაციები გერმანულად	1	C	80	5
BUS 203C	ბიზნესის სამართლებრივი გარემო	1	C	77	5
BUS 204C	მენეჯერული ეკონომიკა	1	B	85	5
BUS 205C	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	1	B	82	5
BUS 206C	კორპორაციათა ფინანსები	1	B	90	5
BUS 207C	მარკეტინგის მენეჯმენტი	1	B	88	5
BUS 210C	ოპერაციების მენეჯმენტი	1	B	85	5
BUS 212C	საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგიები	1	A	92	5
BUS 214C	ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო საფინანსო ბაზრები	1	B	90	5
BUS 219C	ენერგეტიკის მენეჯმენტი	1	B	90	5
UNI 201C	კვლევის მეთოდები	1	B	85	5
BUS 215C	ფინანსური ანალიზი	2	C	78	5
BUS 218C	ენერგეტიკის ეკონომიკა	2	B	87	5
BUS 209C	პრობლემური სემინარი	2	B	82	5
BUS 211C	პროექტების მენეჯმენტი	2	A	93	5
BUS 213C	რისკ მენეჯმენტი	2	B	88	5
BUS 216C	ინვესტიციების ანალიზი	2	C	75	5
BUS 217C	პორტფელიო მენეჯმენტი	2	C	80	5
BUS 221C	ენერგეტიკის ბიზნესი	2	B	85	5
BUS 234C	პროფესიული პრაქტიკა	2	B	88	10
BUS 235C	სამაგისტრო ნაშრომი	2	B	85	10
<b>მიღებული შედეგი</b>			<b>B</b>	<b>85</b>	<b>120</b>
			<b>GPA</b>	<b>3.1</b>	

ცხრილი №2. GPA კოეფიციენტის შესაბამისობა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემასთან

შეფასება	GPA კოეფიციენტი	ხარისხი
100	4.0	A
99	3.9	
98	3.9	
97	3.8	
96	3.8	
95	3.7	
94	3.7	
93	3.6	
92	3.5	
91	3.5	
90	3.4	B
89	3.3	
88	3.3	
87	3.2	
86	3.2	
85	3.1	
84	3.1	
83	3.0	
82	2.9	
81	2.9	
80	2.8	C
79	2.7	
78	2.7	
77	2.6	
76	2.6	
75	2.5	
74	2.5	
73	2.4	
72	2.3	
71	2.3	
70	2.2	D
69	2.1	
68	2.1	
67	2.0	
66	2.0	
65	1.9	
64	1.9	
63	1.8	
62	1.7	
61	1.7	
60	1.6	E
59	1.5	
58	1.5	
57	1.4	
56	1.4	
55	1.3	
54	1.3	
53	1.2	
52	1.1	
51	1.0	

#### 41. დავალების შეფასება

1. ყველა აკადემიური პროგრამა ითვალისწინებს დავალებების დამოუკიდებლად შესრულებას როგორც მცირე, ისე ფართო ფორმატით – სარეფერატო ნაშრომის ან შემოქმედებითი პროექტის სახით.
2. ყველა ტიპის დავალებების ჩაბარება სილაბუსით დაგეგმილ ვადაში აუცილებელია.
3. სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს დავალების ჩაბარების გადავადება თუ ამისთვის არსებობს კვლევასთან დაკავშირებული პრობლემები ან სხვა საპატიო მიზეზები.
4. გადავადების თხოვნით სტუდენტი მიმართავს სასწავლო კურსის პროფესორს. მხოლოდ მისი დასტურის შემთხვევაში ითვლება გადავადებულად ნაშრომის წარმოდგენის ვადა.
5. სტუდენტმა გადავადების თხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს ადრესატს დადგენილი ვადის გასვლამდე არა უგვიანეს სამი დღით ადრე. ამ ვადის გასვლის შემდეგ განცხადება არ მიიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საპატიო მიზეზით გამოწვეული შეფერხება აღნიშნულ სამ დღეს მოიცავს.

#### მუხლი 42. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება

1. შესაბამისი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის და დიპლომის მინიჭებისათვის აუცილებელია პროგრამით დადგენილი ECTS კრედიტების დაგროვება:
  - ა. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისათვის – არანაკლებ 240 კრედიტი;
  - ბ. მაგისტრის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისათვის – არანაკლებ 120 კრედიტი;
  - გ. დოქტორის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისათვის – არანაკლებ 180 კრედიტი;
  - დ. დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისათვის - არანაკლებ 300 კრედიტი.
2. ბაკალავრის, დიპლომირებული სტომატოლოგის და მაგისტრის აკადემიური ხარისხის/ კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება ორი ხარისხის დიპლომით – წარჩინების დიპლომი, დიპლომი.
3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება დასტურდება დიპლომით.
4. დიპლომის ხარისხი განისაზღვრება შემდგენაირად (რექტორის ბრძანება №01-05/068, 03.01.2014):



- ა) წარჩინების დიპლომის მინიჭებისათვის სწავლის შედეგების შეფასების ზღვარია 91%+.
- ბ) დიპლომის მინიჭებისათვის – 51-90%.
- გ) დოქტორის დიპლომის მინიჭებისათვის – 51-100%.

**მუხლი 43. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების საფუძვლები**

1. აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის, სამაგისტრო საფეხურზე, სრული პროგრამული ციკლისთვის დადგენილი კრედიტების დაგროვების გარდა, აუცილებელია საკვალიფიკაციო ნაშრომების დაცვა, ხოლო საბაკალავრო საფეხურზე ნაშრომის დაცვის აუცილებლობას განსაზღვრავს პროგრამა.
2. ამოღებულია (რექტორის ბრძანება №01-05/022;02.06.2015)
3. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა არ ითვალისწინებს საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვას - კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია პროგრამის გავლის შედეგად მიღებული შეფასებები და დაგროვილი კრედიტები.
4. დოქტორანტის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მიმართ ვრცელდება განსხვავებული მოთხოვნები, რაც რეგულირდება დოქტორანტურისა და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით.
5. სტუდენტისათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების უზრუნველსაყოფად სკოლაში იქმნება საატესტაციო/საკვალიფიკაციო ორგანო, რომლის შემადგენლობა, დეკანის წარდგინებით, მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.
6. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არ გამოცხადდება ან არ იქნება დაშვებული (კრედიტების დაუგროვებლობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო ან დამამთავრებელი წლის დასკვნით გამოცდაზე, ან მიიღებს უარყოფით შეფასებას, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი საკვალიფიკაციო ან დასკვნითი გამოცდის დანიშვნა, მაგრამ არა უგვიანეს 4 თვის ვადაში, რისთვისაც გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის სტატუსის გაგრძელების შესახებ.
7. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი დამატებით საკვალიფიკაციო ან დასკვნით გამოცდაზე მიიღებს უარყოფით შეფასებას - ვალდებულია დაწეროს განცხადება გამოცდაზე ხელმეორედ გასვლისა და სტუდენტის სტატუსის გაგრძელების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტომატურად შევა ძალაში პროცედურა სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.
8. სტუდენტს უფლება აქვს გამოიყენოს გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან მომდევნო 5 წლის მანძილზე, რისთვისაც მოქმედებს სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურა.

#### მუხლი 44. მიღებული შეფასების ბასაჩივრება

1. თუ სტუდენტი თვლის, რომ მისი ცოდნა ამა თუ იმ დისციპლინის კონკრეტული ელემენტის ან დასკვნითი გამოცდის ფარგლებში ობიექტურად არ შეფასდა, ან მიაჩნია, რომ არსებობს ობიექტური ფაქტორი, რომელმაც განაპირობა მისთვის მიუღებელი შეფასება, მას შეუძლია დასაბუთებული განცხადებით მიმართოს დეკანს.
2. საჩივარი მიიღება შეფასების გაცნობიდან 3 დღის ვადაში.
3. საჩივარს განიხილავს დეკანის მიერ შექმნილი დროებითი კომისია. განცხადება განიხილება მისი რეგისტრაციიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში.
4. საჩივრის განხილვის დროს კომისია ითვალისწინებს შემფასებლის აკადემიური თავისუფლებისა და შეფასების თავისუფალი სივრცის უზრუნველყოფის პრინციპებს.
5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. დაუშვებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გააუარესებს სტუდენტის შეფასებას.
6. კომისიის მუშაობა მიმდინარეობს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილება საბოლოოა და შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.
7. სხდომის ოქმს აწარმოებს სკოლის სტუდენტთა მობილობისა და რეგისტრაციის ოფისის მენეჯერი.
8. დოქტორანტის შეფასებასთან დაკავშირებული გასაჩივრების პროცედურა რეგულირდება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით. (რექტორის ბრძანება 01-05/034 31.07.2013)

#### **თავი IX. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები**

#### მუხლი 45. სტუდენტის უფლებები

1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:
  - ა. მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;
  - ბ. ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
  - გ. მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

- დ. მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების და გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;
- ე. პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის/სტუდენტთა მომსახურების შეფასება.

**მუხლი 46. სტუდენტის მოვალეობები**

1. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:
  - ა. დაიცვას უნივერსიტეტის წესდებით და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები;
  - ბ. დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
  - გ. დაიცვას უნივერსიტეტის მიერ მომსახურებისთვის დადგენილი ვადები;
  - დ. გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში და გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;
  - ე. ერთი თვის ვადაში აცნობოს სკოლის მობილობისა და რეგისტრაციის ოფისს პირად ბარათში მითითებული ინფორმაციის ცვლილებებზე;
  - ვ. დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
  - ზ. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას.

**თავი X. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული რეგულაცია**

**მუხლი 47. სტუდენტის სტატუსი და სასწავლო რეგულაცია**

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, საფეხურების მიხედვით, ჩარიცხვის წესები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით: (რექტორის ბრძანება 01-05/034 31.07.2013)
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო რეგულაციის სხვა ნაწილში ვრცელდება ამ დებულებით გათვალისწინებული ყველა ნორმა, გარდა საკვალიფიკაციო გამოცდებთან, საკვალიფიკაციო ნაშრომსა და პროგრამის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებული საკითხებისა.

**მუხლი 48. დასკვნითი დებულებები**

1. ეს დებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს უნივერსიტეტის:
  - ა) აკადემიური საბჭოს 2010 წლის 26 მარტის № 14/21 გადაწყვეტილება “სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესის დამტკიცების შესახებ”. გადაწყვეტილება
  - ბ) აკადემიური საბჭოს 2010 წლის 26 მარტის № 13/21 გადაწყვეტილება “სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ”

- გ) აკადემიური საბჭოს 2010 წლის 26 მარტის № 15/21 გადაწყვეტილება “სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ”
- დ) აკადემიური საბჭოს 2010 წლის 26 მარტის № 16/21 გადაწყვეტილება “სტუდენტის სტატუსის აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ”
- ე) აკადემიური საბჭოს 2010 წლის 26 მარტის № 18/21 გადაწყვეტილება “აკადემიური პროგრამების გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ”
- ვ) აკადემიური საბჭოს 2009 წლის 27 ნოემბრის № 05/19 გადაწყვეტილება “სტუდენტის განათლების აღიარებისა და ზოგადი შეფასების დებულების დამტკიცების შესახებ”
- ზ) აკადემიური საბჭოს 2010 წლის 26 მარტის № 17/21 გადაწყვეტილება “სტუდენტთა მობილობის წესის შესახებ”

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
რექტორი, პროფესორი

მამუკა თავხელიძე  
თბილისი,

2011 წლის 27 მაისი  
რეგისტრაციის № 01-05/030

უნივერსიტეტის დებულებაში “სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ” განხორციელებული ცვლილებები:

**1. ბრძანება №01-05/005; 29.02.2012**

“უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 27 მაისის 01-05/030 ბრძანებით დამტკიცებულ უნივერსიტეტის დებულებაში - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”

**2. ბრძანება №01-05/068; 03.01.2014**

“უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 27 მაისის 01-05/030 ბრძანებით დამტკიცებულ უნივერსიტეტის დებულებაში - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”

**3. ბრძანება 01-05/034; 31.07.2013**

“უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 27 მაისის 01-05/030 ბრძანებით დამტკიცებულ უნივერსიტეტის დებულებაში - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”.

**4. ბრძანება 01-05/022; 02.06.2015**

“უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 27 მაისის 01-05/030 ბრძანებით დამტკიცებულ უნივერსიტეტის დებულებაში - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”.